



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
(გადამუშავებული ვარიანტი)

2017 წელი

დასკვნა.....	4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები.....	7
1.1. შემოსავლები	8
1.1.1. საგადასახადო შემოსავლები	8
1.1.2. სხვა შემოსავლები.....	8
1.1.2.1. დივიდენდები	10
1.2. არაფინანსური აქტივების კლება	11
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	11
2.1. ხარჯები.....	12
3. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი.....	13
4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია	14
5. ასიგნებები.....	16
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირები	17
7. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი.....	18
8. პროგრამული ბიუჯეტი	20

დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
- ინფორმაციას, საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერ წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია სათანადოდ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის საფუძვლად გამოყენებული დაშვებების შემოწმების საფუძველზე, გარდა დასკვნაში მოცემული საკითხებისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყურადღება არ მიუქცევია ისეთ რამეს, რაც დაგვარწმუნებდა იმაში, რომ აღნიშნული დაშვებები ვერ უზრუნველყოფენ კანონპროექტით გათვალისწინებული მაჩვენებლების სათანადო საფუძველს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით და წარდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, პერსპექტიული ინფორმაციის სპეფიციკიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს კანონპროექტით გათვალისწინებულისაგან და გადახრებს შესაძლოა არსებითი ხასიათი ჰქონდეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ წარმოადგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის პირველად ვარიანტზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების დოკუმენტი (შემდგომში-დოკუმენტი). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. გაცემული რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საბიუჯეტო პროცესისა და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის გაუმჯობესების პროცესში. ამასთან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საბიუჯეტო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით გათვალისწინებულ იქნეს:

- მნიშვნელოვანია, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, თითოეული კომპონენტის სახით მისაღები შემოსავლების საფუძვლიანი ანალიზით განისაზღვროს;
- მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს მუშაობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედი საწარმოების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, სათანადო საზედამხედველო კონტროლის დაწესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით;
- 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის შესაბამისად დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის 95 000,0 ათასი ლარით შემცირება, რაც 4 000,0 ათასი ლარით მეტია კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ თანხაზე. აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ამ მიმართებით არსებული რეზერვების სრული გამოყენება, რაც თავის მხრივ გაზრდის პრიორიტეტული სფეროების საბიუჯეტო დაფინანსებას;
- მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომლებსაც 2017 წლის 9 თვის შედეგებით შესრულების სხვადასხვა სახის სირთულეები ახასიათებთ. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის, საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტიდან დაფინანსების სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული;
- „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველწლიურად, სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2,7 მილ. ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0,5% ოდენობით. 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, 2010-2017 წლებში ჯამურად

გაწეულია 154,6 ათასი ევროს ხარჯი¹, მაშინ როდესაც პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხების მიმართვას ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება. ასევე დამატებითი ყურადღება გაამახვილონ აღნიშნული პროექტების მომავალი წლის გეგმის განსაზღვრის პროცესში და გაითვალისწინონ პროექტების შესრულების მიმდინარეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სესხზე ვალდებულების გადასახადით დამატებითი ხარჯებისა და დროში გაწეული ან/და დაუსრულებელი პროექტების რაოდენობის ზრდა;

- 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის პროგრამული დანართის შესაბამისად, რიგი პროგრამის ინდიკატორის შეფასებისათვის საჭირო მონაცემთა წყაროს მოგროვების მეთოდები, არასწორად ან საერთოდ არ არის მითითებული. შესაბამისად, აღნიშნული, შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამების შუალედური და საბოლოო შედეგების გაზომვას და მათი ეფექტიანობის შეფასებას;

- პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები. კერძოდ, ინდიკატორების დიდი ნაწილი რაოდენობრივია, თუმცა მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორებით მათი შეფასება რთულდება. ასევე ყველა მოსალოდნელ შედეგს არ შეესაბამება ინდიკატორი ან შედეგების შეფასებისათვის მხოლოდ ერთი ტიპის ინდიკატორია გამოყენებული, მაშინ როდესაც საჭიროა რამდენიმე ტიპის ინდიკატორის შემუშავება დაგეგმილი შედეგების სრულყოფილად შეფასებისათვის.

- პროგრამულ დანართში ზოგიერთი პროგრამა წარმოდგენილია სამზე მეტი საბოლოო შედეგით, რაც ეწინააღმდეგება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნას, პროგრამის გლობალურობიდან გამომდინარე, მის ფარგლებში არაუმეტეს სამი საბოლოო შედეგის განსაზღვრის შესახებ.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, მოხდეს მსგავსი პროგრამებისა და ქვეპროგრამების იდენტიფიცირება და შესაბამისად, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მისაღწევი შედეგების საფუძვლიანი გაანალიზება, რადგან აღნიშნული ერთი მხრივ უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს მომდევნო ფისკალური წლის ბიუჯეტის შემუშავების საფუძველს.

¹ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს- 30,0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს- 2,9 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს - 111,7 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას - 10,0 ათასი ევრო.

1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები

2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით წარმოდგენილი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 260 000,0 ათას ლარს და 2017 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 2,8%-ით, 7 057,0 ათასი ლარით გადააჭარბა. შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება შემოსავლების კომპონენტები, რომელიც 11 217,0 ათასი ლარით, ანუ 4,9%-ით იზრდება, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი 1 055,0 ათასი ლარით, ანუ 5%-ით მცირდება. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულების ზრდას, შემოსულობების აღნიშნულ კომპონენტებში 2017-2018 წლებში საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრული არ არის.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ბიუჯეტის კანონი	2017 წლის 9 თვის ფაქტი	2017 წლის შესრულება %	2018 წლის ბიუჯეტის პროექტი	2017-2018წწ % ზრდა/კლება
შემოსავლები	202 441.5	228 783.0	186 129.8	81,4%	240 000.0	4,9%
არაფინანსური აქტივების კლება	17 790.4	21 055.0	16 236.9	77,1%	20 000.0	-5%
ფინანსური აქტივების კლება	689.2	3 105.0	3105.0	100%	0	
ვალდებულების ზრდა					0	
შემოსულობები	220 921.0	252 943.0	205 471.8	81,2%	260 000.0	2,8%

ცხრილი N1. ბიუჯეტის კანონის პროექტით განსაზღვრული რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები(ათასი ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული კომპონენტების პროგნოზირებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საგადასახადო ადმინისტრირების კუთხით 2016 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა², რომლის მიხედვითაც გადასახადის გადახდა აღარ ხორციელდება გადასახადების თითოეული სახისთვის განსაზღვრულ სახაზინო კოდეზზე, რის ნაცვლადაც გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზზე (101001000), „სხვა გადასახადების“ მუხლში, სადაც ხდება გადახდილი გადასახადების აკუმულირება გადახდის ვადის დადგომამდე. ამის შემდეგ თანხები ნაწილდება შესაბამის საგადასახადო შემოსავლების მუხლებში. აღნიშნულმა მიდგომამ გაამარტივა გადასახადის გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდის პროცედურა, თუმცა ამავდროულად, სირთულეები შექმნა ცალკეული საგადასახადო შემოსავლების მომავალი წლის საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრის პროცესში, რამდენადაც

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდეზის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

პროგნოზირებისას მოდელში გამოყენებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მიმდინარე მდგომარეობით მობილიზებული თითოეული საგადასახადო შემოსავლის ფაქტობრივი ოდენობა.

1.1. შემოსავლები

2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით „შემოსავლების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი 240 000,0 ათასი ლარით განისაზღვრა. აღნიშნული მაჩვენებელი 11 217,0 ათასი ლარით აღემატება 2017 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმას და 37 558,5 ათასი ლარით, 2016 წლის განმავლობაში მობილიზებულ შემოსავლების ფაქტიურ მოცულობას. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა, გადასახადების გაზრდილი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2017 წლის 9 თვის შესრულება	შესრულების %	2018 წლის პროექტი	ზრდა/კლება 2017-2018
გადასახადები	185 370,9	210 000,0	166798,7	79,4%	225 000,0	7,1%
გრანტები	500,0	0	0	0	0	
სხვა შემოსავლები	16 570,6	18 783,0	19331,2	102,9%	15 000,0	-20,1%
შემოსავლები	202 441,5	228 783,0	186129,8	81,4%	240 000,0	4,9%

ცხრილი N 2. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი (ათასი ლარი).

1.1.1. საგადასახადო შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს საშემოსავლო გადასახადი წარმოადგენს, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით 225 000,0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 15 000,0 ათასი ლარით, ანუ 7,1%-ით აღემატება 2017 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს.

1.1.2. სხვა შემოსავლები


2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 15 000,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 3 783,0 ათასი ლარით ნაკლებია 2017 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, სხვა შემოსავლების წლიური გეგმური მაჩვენებელი შესრულებულია 102,9%-ით და ცალკეული კომპონენტის მიხედვით ადგილი აქვს წლიური გეგმის შესრულების კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებელს.

კოდი	დასახელება	2017 წლის წლიური გეგმა	2017 წლის 9 თვის ფაქტი	შესრულების %	2018 წლის წლიური გეგმა	სხვაობა 2017-2018
141	შემოსავლები საკუთრებიდან	17 460,0	17 623,1	122,5%	14 477,5	-2 985,5
1411	პროცენტი	13 000,0	13 261,2	126,3%	11 550,0	-1 450,0
1412	დივიდენდი	2 700,0	2 549,4	100,2%	2 000,0	-700,0
1415	რენტა	1 760,0	1 812,5	134,8%	927,5	-832,5
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	623,0	512,8	108,4%	422,5	-200,5
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	8,0	17,9	223,3%	0	-8,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	615,0	494,9	106,4%	422,5	-192,5
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	100,0	101,0	146,3%	100,0	0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	600,0	1 094,3	182,4%	0	-600,0
14	სულ - სხვა შემოსავლები	18 783,0	19 331,2	102,9%	15 000,0	-3 783,0

ცხრილი N3. სხვა შემოსავლების კომპონენტების დინამიკა (ათასი ლარი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლის ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება სხვა შემოსავლების ყველა კომპონენტის (გარდა სანქციებისა, სადაც გეგმური მაჩვენებელი არ შეცვლილა და 100,0 ათასი ლარით არის განსაზღვრული) საპროგნოზო მაჩვენებელი. ამასთან, 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციული მოსაკრებლის და გადასახდელებისა და შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი, თუმცა 2017 წლის 9 თვეში აღნიშნული მუხლით მიღებულია შემოსავალი შესაბამისად, 17,9 ათასი ლარი და 1 094,3 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ სხვა შემოსავლების სახით მიღებული სახსრები 2015 წლიდან 2017 წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით, წინა წელთან შედარებით 3 783,0 ათასი ლარით მცირდება.




დიაგრამა N1. სხვა შემოსავლების დინამიკა (ათასი ლარი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პირველად ვარიანტზე გამოთქმული შენიშვნებისა და

რეკომენდაციების გათვალისწინების დოკუმენტის (შემდგომში -დოკუმენტი) შესაბამისად, სხვა შემოსავლების 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირებულად წარმოდგენა, ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის სრულად გამოყენებისა და შესაბამისად „პროცენტის“ მუხლით მისაღები შემოსავლების შემცირებითაა განმარტებული, თუმცა საყურადღებოა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება სხვა შემოსავლების ყველა კომპონენტის (გარდა სანქციებისა, სადაც გეგმური მაჩვენებელი არ შეცვლილა და 100,0 ათასი ლარით არის განსაზღვრული) საპროგნოზო მაჩვენებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, თითოეული კომპონენტის სახით მისაღები შემოსავლების საფუძვლიანი ანალიზით განისაზღვროს.

1.1.2.1. დივიდენდები

ბიუჯეტის კანონის პროექტით, ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მისაღები დივიდენდების გეგმური მაჩვენებელი 2 000,0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც 2017 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 700,0 ათასი ლარით ნაკლებია. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ 2017 წლის 9 თვის მონაცემებით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში დივიდენდების სახით ჩაირიცხა 2 549,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 94,4 %, ხოლო 9 თვის გეგმის 100,2 %-ია და 1 723,5 ათასი ლარით აღემატება 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.



დიაგრამა N2. 2012-2017 წლებში მიღებული დივიდენდების დინამიკა(ათასი ლარი).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2012-2017 წლებში საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის მიხედვით 2018 წლის გეგმური მაჩვენებელი, გასული წლის გეგმასთან მიმართებით 700,0 ათასი ლარით მცირდება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 35 საწარმოდან, 2016 წლის 9 თვეში, ისევე როგორც

წინა წლებში, დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 5 საწარმოს, საიდანაც 2 საწარმოს³ მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი 99,3 პროცენტს შეადგენს. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული ტენდენცია არც 2018 წელს იცვლება და დივიდენდის გადამხდელი საწარმოების რიცხვი კვლავ 3 ერთეულითაა განსაზღვრული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია გაძლიერდეს მუშაობა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედი საწარმოების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე, სათანადო საზედამხედველო კონტროლის დაწესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები, მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

1.2. არაფინანსური აქტივების კლება

2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსავლების გეგმური მაჩვენებელი 20 000,0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 1 055,0 ათასი ლარით ნაკლებია 2017 წლის გეგმურ მაჩვენებელზე. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად, 2019 წლისათვის „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით დაგეგმილია 15 000,0 ათასი ლარის შემოსავლების მიღება, რომელიც მომდევნო 2020-2021 წლებში 10 000,0 ათას ლარამდე მცირდება. აღსანიშნავია, რომ 2017-2020 წლების პრიორიტეტების დოკუმენტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით განსხვავებული პროგნოზები ფიქსირდება, სადაც 2018 წლისათვის დაგეგმილი იყო 25 000,0 ათასი ლარის შემოსავლების მიღება, რომელშიც მომდევნო 2019 წელს 30 000,0 ათას ლარამდე ზრდა იყო გათვალისწინებული.

წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი საპრივატიზებო ნუსხის შესაბამისადაა განსაზღვრული, თუმცა რომელიც ობიექტების პრივატიზება იგეგმება 2018 წელს და რამ განაპირობა 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ არის განმარტებული.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით გადასახდელების ოდენობა 355 000,0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 4 000,0 ათასი ლარით მეტია, კანონპროექტის პირველადი ვარიანტით წარმოდგენილ მაჩვენებელზე და 15,9%-ით მეტია 2017 წლის გეგმიურ მაჩვენებელზე.

³ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“ -1986,4 ათასი ლარი, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“- 545,0 ათასი ლარი.

	2017 წლის ბიუჯეტის კანონი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირ. ვარიანტი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის გად. ვარიანტი	სხვაობა პირ/გად	ზრდა - კლება 2017- 2018 წწ.
გადასახდელები	306 200,0	351000,0	355000,0	4000,0	15,9%
ხარჯები	201 546,3	180889,7	192501,4	11611,7	-4,5%
არაფინანსური აქტივების ზრდა	64 739,9	84958,0	86310,3	1352,3	33,3%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთისგამოკლებით)	38 033,8	82491,6	73527,6	-8964,0	93,3%
ვალდებულებების კლება	1 880,0	2660,7	2660,7	0	41,5%

ცხრილი N 4. გადასახდელების კომპონენტების დინამიკა (ათასი ლარი).

2.1. ხარჯები

წარმოდგენილი ბიუჯეტის კანონის პროექტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2018 წლის ხარჯების გეგმა 192 501,4 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც, 11 611,7 ათასი ლარით მეტია, კანონპროექტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრულ მაჩვენებელზე და 9 044,9 ათასი ლარით ნაკლებია 2017 წლის გეგმურ მაჩვენებელზე. ცალკეული კომპონენტების მხრივ იზრდება „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 16,1%-ით და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი - 2,1%-ით. ამავე დროს მცირდება „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 3,0 %-ით, „პროცენტები“ - 13,0%-ით, „სუბსიდიები“ - 1,9%-ით, „გრანტები“ - 10,8%-ით და „სხვა ხარჯები“ - 12,8 %-ით.

	2017 წლის ბიუჯეტის კანონი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირ. ვარიანტი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის გად. ვარიანტი	სხვაობა პირველადი/ გადამუშავებული	ზრდა - კლება 2017- 2018 წწ.
ხარჯები	201 546,3	180 889,7	192501,4	11611,7	-4,5%
შრომის ანაზღაურება	36 999,2	35 879,9	35879,9	0	-3,0%
საქონელი და მომსახურება	33 995,8	39 510,2	39468,6	-41,6	16,1%
პროცენტი	410,0	356,9	356,9	0	-13,0%
სუბსიდიები	3 266,3	3 194,9	3204,9	10,0	-1,9%
გრანტები	77 839,5	58 150,9	69413,0	11262,1	-10,8%
სოციალური უზრუნველყოფა	9 568,5	9 770,9	9770,9	0	2,1%
სხვა ხარჯები	3 9467,1	34 026,0	34407,2	381,2	-12,8%

ცხრილი N5. ხარჯების გეგმის შესრულების დინამიკა (ათასი ლარი).

გარკვეულ შემთხვევებში სხვაობა მიმდინარე წლის ათვისების ტენდენციასა და მომავალი წლის გეგმას შორის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთავრობის პრიორიტეტების

ან/და სტრუქტურულ ცვლილებებსა და დისკრეციულ გადაწყვეტილებებთან. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვისას, სხვა მიზეზებთან ერთად, მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გასული წლების განმავლობაში და მიმდინარე წლის მდგომარეობით, დაბალი ათვისების მქონე პროგრამების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, მით უმეტეს, თუ მათი დაფინანსება 2018 წლისთვის გრძელდება.

კოდი	პროგრამების დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 9 თვის საკასო ხარჯი	ათვისება (%-ად) წლიურ გეგმასთან	2018 წლის პროექტი
070601	ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა	2 804,3	191,5	6,8%	1 001,1
05121002	კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება	2 385,0	442,4	18,5%	1 729,0
0412	ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდება	247,1	0	0%	595,4
061005	კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით	180,0	43,8	24,3%	77,0
070503	აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგია	250,0	21,2	8,5%	150,0
070602	სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა	2 565,0	671,4	26,2%	1 220,0

ცხრილი N6. რიგი ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი).

მიზანშეწონილია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს იმ პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზე, რომლებსაც 2017 წლის 9 თვის შედეგებით შესრულების სხვადასხვა სახის სირთულეები ახასიათებთ. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის, საბიუჯეტო გეგმით გათვალისწინებული ასიგნებების ათვისებას და შესაბამისად დასახული მიზნების შესრულებას.

3. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, 2018 წლის შემოსავლები 240 000,0 ათასი ლარით, ხარჯები 192 501,4 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი 66 310,3 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ანუ ბიუჯეტის დეფიციტი 2018 წლისთვის 18

811,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 2017 წლის ბიუჯეტის დეფიციტზე 2 363,5 ათასი ლარით მეტია.

ბიუჯეტის ბალანსი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	ზრდა/კლება 2017-2018
შემოსავლები	228 783,0	240000,0	11 217,0
ხარჯები	201 546,3	192501,4	-9044,9
საოპერაციო სალდო	27 236,7	47498,6	20261,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	43 684,9	66310,3	22625,4
მთლიანი სალდო	-16 448,2	-18811,7	2363,5
ფინანსური აქტივების ცვლილება	-18 328,2	-21472,4	-3144,2
ვალდებულებების ცვლილება	-1 880,0	-2660,7	-780,7
ბალანსი	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-53 257,0	-95 000,0	
2017 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები			113 556,8
2017 წლის 1 ოქტომბრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული სახსრები			154 296,8

ცხრილი N7. 2017-2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი.

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ბიუჯეტის გადასახდელების ვალდებულების შესრულებისათვის, 2018 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის შემცირება 95 000,0 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშზე განთავსებულია 154 296,8 ათასი ლარი.

2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პირველადი ვარიანტით, დაგეგმილი იყო ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის შემცირება 91 000,0 ათასი ლარით. აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხის დამატებითი ანალიზის შედეგად, კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან, გადასახდელების დასაფინანსებლად გამოსაყენებელი თანხა 4 000,0 ათასი ლარით გაიზარდა და 95 000,0 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია ამ მიმართებით არსებული რეზერვების სრული გამოყენება, რაც თავის მხრივ გაზრდის პრიორიტეტული სფეროების საბიუჯეტო დაფინანსებას.

4. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია


2017 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით „საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება შემცირებულია 19,5 %-ით, ხოლო ჯანმრთელობის დაცვა - 5,2 %-ით. იზრდება ეკონომიური საქმიანობის სფეროს დაფინანსება - 31,8 %-ით, სოციალური დაცვის დაფინანსება - 15,6 %-ით, განათლების სფეროს დაფინანსება - 14,4 %-ით, დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროების დაფინანსება - 10,2 %-ით. ამასთან, 2018 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტით საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნება არ არის

გათვალისწინებული, ხოლო გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება ფაქტიურად არ იცვლება და ის 1 175,9 ათასი ლარით არის განსაზღვრული.

დასახელება	ზრდა /შემცირება (ათასი ლარი)	ზრდა/შემცირება (%)	2018 ბიუჯეტის პროექტი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	-21307,5	-19,5%	88123,7
ეკონომიკური საქმიანობა	27226,8	31,8%	112895,7
გარემოს დაცვა	2,0	0,2%	1175,9
საზინაო კომუნალური მომსახურება	0	0	0
ჯანმრთელობის დაცვა	-610,7	-5,2%	11139,9
დასვენება, კულტურა და რელიგია	2959,0	10,2%	31943,7
განათლება	3632,9	14,4%	28906,8
სოციალური დაცვა	623,0	15,6%	4626,0
სულ	12525,5	4,7%	278811,7

ცხრილი N8. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის დინამიკა (ათასი ლარი).

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2018 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2018 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, ხარჯების უდიდესი წილი 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: ეკონომიკური საქმიანობა - 40,5%, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 31,6%, დასვენება, კულტურა და რელიგია - 11,5%, განათლება - 10,4%. დანარჩენი 3 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა დაფინანსების 6,0%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტებისათვის 0,4%-იდან 3,9%-მდე მერყეობს.



დიაგრამა N3. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

5. ასიგნებები

2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, 2017 წლის საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით, ასიგნებები ეზრდებათ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისიას - 9,4 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას - 10 447,3 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - 19 455,4 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს - 3 773,4 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 12,1 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს - 856,1 ათასი ლარით და საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელები იზრდება - 14 316,3 ათასი ლარით. ამავე დროს ასიგნებები უმცირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს - 70,0 ათასი ლარით.

დასახელება	ზრდა/შემცირება (ათასი ლარი)	ზრდა/შემცირება %	2018 წლის ბიუჯეტის პროექტი
აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო	-70,0	-1,4%	4846,8
აჭარის ა/რ უმაღლესი საარჩევნო კომისია	9,4	1,5%	636,6
აჭარის ა/რ მთავრობა	10447,3	15,8%	76763,6
აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	19455,3	74,4%	45595,7
აჭარის ა/რ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	3773,4	8,1%	50269,6
აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	12,1	0,1%	15765,8
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო	856,1	7,1%	12885,2
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	14316,3	10,7%	148236,7

ცხრილი N9. ასიგნებების დინამიკა ორგანიზაციულ ჭრილში (ათასი ლარი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, შედარებით მაღალი პროცენტით ასიგნება იზრდება 2 შემთხვევაში, კერძოდ:

❖ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს - 74,4%, რაც ძირითადად სამინისტროს „ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობისა“ და „საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის“ პროგრამების ასიგნებების მნიშვნელოვანი ზრდით არის გამოწვეული.

❖ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას - 15,8%, რაც ძირითადად გამოწვეულია მის დაქვემდებარებაში არსებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისა და „საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვის“ პროგრამის ასიგნებების ზრდით.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის 2018 წლის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით, კანონპროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მასთან არსებული ორგანიზაციების ასიგნებები იზრდება - 1 241,9 ათასი ლარით, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებები - 65,0 ათასი ლარით და საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების ასიგნებები - 2693,2 ათასი ლარით.

N	დასახელება	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის პირ. ვარიანტი	2018 წლის ბიუჯეტის პროექტის გად. ვარიანტი	სხვაობა პირველადი/ გადამუშავებული
	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	75521,7	76763,6	1241,9
	აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	4111,0	4341,0	230,0
	აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	55909,5	56921,4	1011,9
	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	50204,6	50269,6	65,0
	კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპილარიზაცია	15813,1	15878,1	65,0
	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	145543,5	148236,6	2693,2
	ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	48000	59262,1	11262,1
	შპს „სტადიონის საწესდებო კაპიტალის ზრდა“	72000	65000	-7000,0
	შპს „გოდერძი რესორტს“-ის საწესდებო კაპიტალის ზრდა	5124	3160	-1964
	სარეზერვო ფონდი	2219,0	2614,0	395,0
	ჯამი	271269,8	275269,8	4000,0

ცხრილი N10. 2018 წლის კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტით განხორციელებული ცვლილებები (ათასი ლარი).

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გრძელდება იმ მხარჯავ დაწესებულებათა ბიუჯეტიდან დაფინანსება, რომლებიც შემოსავლების მიღების მიზნით ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, საკუთარი შემოსავლის სახით სულ მიღებულია 6 626,0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების 59,6 %-ს შეადგენს.

N	დასახელება	2018 წლის გეგმა	საკუთარი შემოსავლები
1	სსიპ „აჭარის ა.რ. სავაჭრო-სამრეწველო პალატა“	272,9	12,1
2	აიიპ „ბათუმის ბიზნესინკუბატორი“	75,5	96,9

3	სსიპ „ბათუმის ბულვარი“	955,1	3 467,1
4	სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორია“	343,1	153,3
5	სსიპ „ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი“	573,5	66,2
6	სსიპ „აჭარის ხელოვნების მუზეუმი“	220,1	72,9
7	სსიპ „აჭარის მ. კუხიანიძის სახ. სიმღერისა და ცეკვის სახ. აკადემიური ანსამბლი „არსიანი“	1 408,0	58,2
8	სსიპ „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი“	733,9	15,2
9	სსიპ „ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“	2 017,1	17,8
10	სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი“	736,7	25,9
11	სსიპ „აჭარის ვოკალური ანსამბლი ბათუმი“	840,6	5,9
12	სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი“	4 010,6	79,3
13	სსიპ „აჭარის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ხორუმი“	839,5	6,4
14	სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“	645,5	423,2
16	ააიპ „აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა“	340,7	3,9
17	ააიპ „ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა“	302,0	45,9
18	ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“	305,8	22,8
19	ააიპ „ქალაქ ბათუმის სასპორტო სკოლა“	1 200,7	88,1
20	ააიპ „ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა“	1 233,1	6,0
21	სსიპ „ქ. ბათუმის საჩოგბურთო კომპლექსი“	209,3	7,8
22	ააიპ „თანამედროვე ხელოვნების სივრცე“	118,8	4,1
23	სსიპ „აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	577,6	36,7
24	სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“	339,7	605,9
25	ააიპ „აგროსერვის ცენტრი“	378,6	402,8
26	სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“	2 233,0	563,2
27	ააიპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტო“	667,8	153,7
ჯამი		21 579,2	6 626,0

ცხრილი N11. მხარჯავი დაწესებულებების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ (ათასი ლარი).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, დოკუმენტით წარმოდგენილია ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მიღებული საკუთარი შემოსავლების შესახებ, თუმცა აღნიშნული დაწესებულებების ბიუჯეტიდან დაფინანსების სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია გაანალიზებული იქნეს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და შემდგომი საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად იქნება მიმართული.

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი

2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2018 წელს სესხის მომსახურებისა და დაბრუნებისათვის გამოყოფილია 2 818,0 ათასი ლარი, რაც 528,0 ათასი ლარით მეტია 2017 წლის ბიუჯეტით შესაბამისი დანიშნულებით გათვალისწინებულ თანხაზე.

კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა	2017 წლის 9 თვის საკასო ხარჯი	2018 წლის გეგმა	2017-2018 ზრდა/კლება
090601	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯი	290,0	144,8	290,0	0%
090602	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯი	120,0	42,9	66,9	-44,3%
090801	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KFW) მიღებული სესხის დაბრუნება	1230,0	612,8	1339,8	8,9%
090802	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	650,0	7,0	1121,3	72,5%
	ჯამი	2290,0	807,5	2818,0	23,1%

ცხრილი N12. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი 2017-2018 წლებში (ათასი ლარი).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კრედიტის სახით გამოყოფილი სახსრების დაგვიანებით ათვისება იწვევს სესხის მომსახურების ხარჯების გაზრდას, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის (commitment fee) დაკისრებას სესხის ათვისებულ ნაწილზე. მაგალითად, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, ყოველწლიურად სესხის ათვისებულ ნაწილზე (2,7 მილ. ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, ათვისებული თანხის 0,5% ოდენობით. 2017 წლის 9 თვის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში 2010-2017 წლებში ჯამურად გაწეულია 154,6 ათასი ევროს ხარჯი⁴, მაშინ როდესაც პროექტის განსახორციელებლად საკრედიტო რესურსიდან თანხების მიმართვას ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროექტის განმახორციელებელმა უწყებებმა უზრუნველყონ გამოყოფილი სესხების დროული და ეფექტიანი ათვისება, ასევე, დამატებითი ყურადღება გაამახვილონ აღნიშნული პროექტების მომავალი წლის გეგმის განსაზღვრის პროცესში და გაითვალისწინონ პროექტების შესრულების მიმდინარეობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სესხზე ვალდებულების გადასახადით გაწეული დამატებითი ხარჯებისა და დროში გაწეილი ან/და დაუსრულებელი პროექტების რაოდენობის ზრდა.

⁴ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს- 30,0 ათასი ევრო, პროცენტის ხარჯს- 2,9 ათასი ევრო, ვალდებულების გადასახადს - 111,7 ათასი ევრო და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას- 10,0 ათასი ევრო. აღსანიშნავია, რომ ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილი 111,7 ათასი ევრო, შეიძლება განხილული იქნეს არაეფექტურ ხარჯად.

8. პროგრამული ბიუჯეტი

რესპუბლიკური ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით 2013 წლიდან მზადდება, რაც პროგრამული ბიუჯეტის უმთავრეს უპირატესობას და ამავედროულად სირთულეს წარმოადგენს, რაც გულისხმობს შედეგების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესში და საჯარო სექტორის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მხარჯავი დაწესებულებების მიერ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ხელს უწყობს ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, რესურსების ეფექტიანი გადანაწილების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადება რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით⁵ „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ამასთან, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების აღწერასა და მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს. ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების პროცესსა და პროგრამების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში ჯერ კიდევ შეინიშნება ხარვეზები, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ:

ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავებული შედეგების შეფასების ინდიკატორები ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების გაზომვას და პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას. მაგალითად:

- „ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის (კოდი 051314) შედეგების ინდიკატორია ჟურნალ „ჭოროხის“ და სხვა მხატვრული ლიტერატურის გამოცემა და ღონისძიებების გამართვა. თუმცა რა რაოდენობის გამოცემები და ღონისძიებებია საჭირო პროგრამის მიზნის მისაღწევად, არ არის განსაზღვრული.
- „აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ პროგრამა (კოდი 050601) ითვალისწინებს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. შედეგების ინდიკატორად განსაზღვრულია - „ხელშეწყობილია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“, ხოლო გაზომვის ერთეულად - „რაოდენობა“, თუმცა რაოდენობრივად რა სახის შედეგები უნდა შეფასდეს არ არის მინიშნებული.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების ნაწილი საჭიროებს დამატებით ინდიკატორს, რათა სრულყოფილად იქნეს შეფასებული მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები. კერძოდ, ინდიკატორების დიდი ნაწილი რაოდენობრივია, თუმცა მხოლოდ რაოდენობრივი ინდიკატორებით მათი შეფასება რთულდება. ასევე ყველა მოსალოდნელ შედეგს არ შესაბამეობა ინდიკატორი ან შედეგების შეფასებისათვის მხოლოდ ერთი ტიპის ინდიკატორია

⁵ ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება.

გამოყენებული, მაშინ როდესაც, საჭიროა რამდენიმე ტიპის ინდიკატორის შემუშავება დაგეგმილი შედეგების სრულყოფილად შეფასებისათვის. კერძოდ:

- „გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურების“ ქვეპროგრამის (კოდი 060207) მოსალოდნელი შედეგია ბენეფიციარების სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება და მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა. შედეგების შეფასების ინდიკატორად განსაზღვრულია 350 ბენეფიციარისთვის ფინანსური რისკების შემცირება 2,0 ათასი ლარის ფარგლებში. აღნიშნული ინდიკატორი ვერ უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხისა და ადეკვატურობის შეფასებას და შედეგების გასაზომად დამატებით ინდიკატორს საჭიროებს.

პროგრამულ დანართში ზოგიერთი პროგრამა წარმოდგენილია სამზე მეტი საბოლოო შედეგით, რაც ეწინააღმდეგება მეთოდოლოგიის მოთხოვნას პროგრამის გლობალურობიდან გამომდინარე, მის ფარგლებში არაუმეტეს სამი საბოლოო შედეგის განსაზღვრის შესახებ. მაგალითად:

„ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და დივერსიფიკაციის“ (კოდი 03030304) და „სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობის“ (კოდი 05140203) ქვეპროგრამები ხუთი საბოლოო შედეგით არის წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრეს მიზანს სწორედ მიღწეული შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის ურთიერთკავშირის დამყარება წარმოადგენს. მიზანშეწონილია მოხდეს მსგავსი პროგრამების და შესაბამისად, მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა ქვეპროგრამებისა და შუალედური შედეგების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესისა და საბიუჯეტო რესურსების განკარგვის გამჭვირვალობას, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებულ მხარისათვის უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ბიუჯეტის კანონპროექტის პირველად ვარიანტთან დაკავშირებით, პროგრამული აუდიტის ნაწილში წარდგენილი რეკომენდაციების უმეტესობა, წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად გათვალისწინებულია ან გათვალისწინების ეტაპზეა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტირების სრულყოფისაკენ წინსვლის პროგრესს.